KSAN VALLEY IN THE PAGES OF THE NEWSPAPER „DROEBA“

ქსნის ხეობა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე

David Akhlouri
Doctor of History,
Associate Professor of Gori State University.
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995599630900, datoakhlouri@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. This paper analyzes materials published in the newspaper „droeba“ concerning the Ksan Valley. These sources enable us to better study the political, economic, and cultural situation in the occupied Akhalgori Municipality in the second half of the 19th century and the early 20th century. They also provide information on the region's religious and ethnographic life, the contribution of prominent individuals, the condition of Georgian churches and monasteries at that time, and other important issues.

The authors of the articles published in the newspaper mostly wrote under pseudonyms, which, in our observation, allowed them to present the problems and shortcomings of the period more openly. editorial policy of his newspaper were also aimed at this – establishing the principle of truth-telling in society and helping ordinary people overcome their difficult living conditions. The central idea of the articles dedicated to the Ksan Valley is primarily the concern for improving the social condition of peasants.

Education was considered the main tool for achieving success in life and escaping oppression. The publications illustrate how different groups of contemporaries – especially traders, petty merchants – took advantage of the illiteracy of the majority of the population. Hence, particular attention is given to the importance of opening schools.

The population of the Ksan Valley had long been troubled by the absence of roads, as villages were cut off from each other and from the outside world for months. The newspaper frequently drew attention to these issues as well.

A significant part of the publications devoted to the Ksan Valley follows the leitmotif of recalling Georgia's glorious past while presenting the painful reality of the present.

Keywords: Ksan Valley, Dusheti District, churches and monasteries, lack of roads, petty merchants, school openings, education, teacher, plowing and sowing.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+995599630900, datoakhlouri@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. ნაშრომში გაანალიზებულია გაზეთ „დროებაში“ ქსნის ხეობის შესახებ გამოქვეყნებული მასალები, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ შევისწავლოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX დასაწყისში ოკუპირებულ ახალგორის მუნიციპალიტეტში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარება. გავეცნოთ რეგიონში არსებულ რელიგიურ და ეთნოგრაფიულ ყოფას, გამოჩენილ ადამიანთა ღვაწლს, ქართული ეკლესია-მონასტრების იმჟამინდელ მდგომარეობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ავტორები, ძირითადად, ფსევდონიმით წერდნენ, რაც, ჩვენი დაკვირვებით, უფრო მეტად უადვილებდათ იმ პერიოდში არსებული პრობლემებისა და მანკიერი მხარეების დაუფარავად წარმოჩენას. გაზეთის სარედაქციო პოლიტიკაც აქეთ იყო მიმართული - საზოგადოებაში დამკვიდრებულიყო მართლის თქმის პრინციპი და უბრალო ხალხს შეჭირვებული ყოფისთვის თავი დაეღწია. პირველ რიგში, რითაც ქსნის ხეობისადმი მიძღვნილი სტატიების პათოსია განმსჭვალული, ესაა გლეხების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

ცხოვრებაში წარმატების მიღწევისა და ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მთავარ იარაღად სწავლა-განათლების მიღება იყო მიჩნეული. პუბლიკაციებში ნაჩვენებია, თუ როგორ სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის მედროვენი, განსაკუთრებით ვაჭარ-ჩარჩები, საზოგადოების უდიდესი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინრობით, ამიტომ მეტი ყურადღება მახვილდება სკოლების გახსნის მნიშვნელობაზე.

ქსნის ხეობის მოსახლეობას ოდითგან განსაკუთრებით აწუხებდა უგზოობა, რის გამოც სოფლები თვეობით წყდებოდნენ ერთმანეთსაც და გარესამყაროსაც. გაზეთი ამ პრობლემებზეც ხშირად ამახვილებს ყურადღებას.

ქსნის ხეობისადმი მიძღვნილ პუბლიკაციების მნიშვნელოვან ნაწილს ლაიტმოტივად გასდევს ჩვენი დიდებული წარსულის შეხსენება და ტკივილიანი აწმყოს წარმოჩენა.

საკვანძო სიტყვები: ქსნის ხეობა, დუშეთის მაზრა, ეკლესია-მონასტრები, უგზოობა, ვაჭარ-ჩარჩები, სკოლების გახსნა, სწავლა-განათლება, მასწავლებელი, ხვნა-თესვა.

შესავალი. ქსნის ხეობა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა, თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, ხუროთმოძღვრული ძეგლებით, არქეოლოგიური მონაპოვრითა და ეკლესია-მონასტრებში დაცული უნიკალური საგანძურით. საუკუნეების მანძილზე ორი მძლავრი სათავადო არსებობდა ამ ხეობაში - ქსნის საერისთავო და სამუხრანბატონო. სამწუხაროა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არც თუ ისე ვრცელ მასალას ვხვდებით ამ კუთხის წარსულის შესახებ. დანაკლისს მეტნაკლებად გვივსებს XIX-XX საუკუნეების ქართული პრესა, სადაც არაერთ საინტერესო მასალას ვხვდებით ქსნის ხეობის ისტორიული, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები. ეს იყო პირველი ევროპული ტიპის პოლიტიკური და

ლიტერატურული გაზეთი, რომელიც გამოვიდა 1866 წლის 4 მარტს. „დროებამ“ უნდა იქონიოს მხედველობაში გონების გახსნა და ნამდვილის ცნობის გადაცემა მკითხველისადმი“ - წერდა პირველი ნომრის მეთაურ წერილში გაზეთის გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი. „დროებამ“ ღირსეულად აღასრულა თავისი მისია, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რედაქტორებს: გიორგი წერეთელს, სერგეი მესხს, ნიკო ნიკოლაძეს, კირილე ლორთქიფანიძეს, ივანე მაჩაბელს, ილია ჭავჭავაძეს, რომელიც 1880 წელს „დროებისა“ და „„ივერიის“ რედაქციების გაერთიანების შემდეგ სერგეი მესხთან ერთად აწერდა გაზეთს ხელს.

გამოცემის პირველ წლებში „დროება“ ყოველკვირეული გაზეთი იყო, 1875-1876 წლებში კვირაში სამჯერ გამოდიოდა, 2877 წლის აგვისტოდან ყოველდღიური გახდა, სადაც იბეჭდებოდა კორესპონდენციები ისტორიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების, სოფლის მეურნეობის, სწავლა-განათლებისა და სხვა საკითხებზე.

1885 წლის 16 სექტემბერს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რადიკალური მიმართულებისა და საცენზურო წესდების დარღვევის საბაბით, „დროების“ გამოცემა შეაჩერა, თუმცა, დროებით...

მეთოდები. საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული პუბლიკაციების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, ამა თუ იმ სოფელში არსებული ვითარება, მცხოვრებთა რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა... დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება გავაანალიზოთ ქსნის ხეობაში მცხოვრები სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალური ურთიერთობები. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები. ნაშრომში გამოკვეთილია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქსნის ხეობის მთისა და ბარის სოფლების ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო, ყოველდღიური ყოფიერების მნიშვნელოვანი ასპექტები, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წინაშე მდგარი პრობლემები, მათი მიზეზები და ამ პრობლემების აღმოფხვრის გზები. საუბარია სწავლა-განათლების მნიშვნელობასა და სკოლების დაარსების აუცილებლობაზე, ქსნის ხეობის ეკლესია-მონასტრების მდგომარეობაზე, მოსახლეობის რელიგიურ და ეთნოგრაფიულ ყოფაზე.

ნაშრომში გამოქვეყნებული მთელი რიგი პუბლიკაციები უნიკალური მასალაა იმისათვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ ქსნის ხეობის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, დემოგრაფიული და რელიგიური ყოფა-ცხოვრება.

მსჯელობა. „დროების“ ფურცელზე დაბეჭდილი პირველი პუბლიკაცია, რომელზეც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, გახლავთ რ. მამამთავრიშვილის წერილი „იკოთი, 23 თებერვალს“. სადაც ავტორი ეხმიანება გაზეთის მე-20 და 21-ე ნომრებში გამოქვეყნებულ კორესპონდენციებს ქართლში ქურდობისა და ავაზაკობის მოხშირების შესახებ. ამ ინფორმაციებმა „კაკალი გული გამიხეთქესო“ - სწუხს ავტორი.

„დროების“ მეოცე ნომერში ს. ზაქარიძე საუბრობს 1875 წლის 30 იანვარს სოფელ დირბში მომხდარ „ძალიან ზორბა ქურდობაზე“, როცა ამ სოფლის მღვდელს სამადალოვს (სამადალაშვილი) თავს დასხმია ქურდებისაგან შემდგარი თორმეტკაციანი ბანდა. მღვდელის მონათხრობით, როცა კარებზე ხმაური დაუწყიათ, საზიარებლად მისულები ჰგონებია... სახლში სამი მათგანი შეჭრილა ანთებული სანთლებით, დანარჩენები სახლს შემორტყმიან თვალის დასაჭერად. თავდამსხმელებს თავ-პირი ისე ჰქონიათ ყაბალახით

შეხვეული, მხოლოდ თვალები და ცხვირი უჩანდათო. „ერთი მათგანი სძგერებიყო მღვდელს და იმას მაშინვე ლოგინისთვის მიეშურებინა; დააბჯინა ამან ყელში ხანჯალი; შვილები საცოდავს ყელზედ შემოეხვივნენ. ორი კი მათგანი ზიდავდა გარეთ ბარგს. რამდენსაც წამოიწევდა თურმე მღვდელი, იმდენს ავაზაკი ყელთან ახლოს მიიტანდა ხანჯალს და შეუტევდა: „ხე ნიკორაო!“ და საბანში ჩააყოფინებდა თავს. გარეთ მდგომებს რომ მიაწოდეს ნაპარავი, ერთმა მათგანმა დაუძახა: „ხის ყუთი გატეხეთ, ხის ყუთიო! სულ ვერცხლეულობით არის სავსეო“. გასტეხენ ამასაც და ერთიანად გაფხეკენ“ (ზაქარიძე, 1875: 2).

მღვდლისა და მისი თანასოფლელების მონათხრობით, თავდამსხმელებს, ლოგინისა და ერთი ხელი ძველი ტანისამოსის გარდა, ყველაფერი წაუღიათ, მაყაშის, მაშისა და ქონის სანთლების ჩათვლით. ნაქურდალში 20 თუმანი ფულიც ყოფილა. ჩანს, ყაჩაღები მათ გვერდით მცხოვრები ქართველები უნდა ყოფილიყვნენ: „შინაურულად იქცეოდნენ თურმე სახლში და წმინდა ქართულ ენაზედ ლაპარაკობდნენო. ეჭვი აქვთ ზოგ-ზოგ იქაურებზედვე, რადგანაც 30-ს საღამოზედ ორს იქაურს კაცს ეკითხნათ სახლში, რომ მღვდელი შინ არის თუ არაო და თუ შინ არ არის, როდის მოვაო“ (ზაქარიძე, 1875: 2).

ოცდამეერთე ნომერში საუბარია ხაშურში (რომელიც მიხაილოვის სახელითაცაა მოხსენიებული) მომხდარ თავდასხმაზე, როცა ასევე თორმეტი ავაზაკი დასხმია თავს ერთ გზის მოხელეს და „სულიდან ხორცამდე გაუფცქვნიათ“.

გორში მესამე შემთხვევა ყოფილა დუქნების გატეხვის. ერთი დუქნიდან დიდი რაოდენობით ქიშმიში წაუღიათ, მეორე დუქანში მალე მიუსწვრიათ და გაქცეულან. იმავე წერილში საუბარია ერთი რკინიგზის მოსამსახურე რუსის მიერ თავის მოკვლაზე; ცოლშვილიან კაცს თავისივე ხელით გამოუჭრია ყელი. „გორიდან დაიბარეს უეზდის დოქტორი (უფ. სააკოვი), რომელმანც გასჭრა თურმე მკვდარი, ტვინი გაუსინჯა და სთქვა, რომ სიმთვრალით იპახონდრია (იპოქონდია სომატოფორმული დარღვევაა, როცა მავანს უჩნდება დაუსაბუთებელი რწმენა, რომ სერიოზული დავადება აქვს) მოსვლია და მისთვის მოუკლავს თავიო. სხვები კი ამბობდნენ, რომ იმას ისეთი ავათმყოფობა აქვს, რომელიც, თუ არ მოურჩა, უდროოთ თავს მოაკვლევინებსო“ (კანდელაკი, 1875: 2).

როგორც აღვნიშნეთ, ამ მძიმე ამბებს, მითუმეტეს ქართლელთა მხრიდან ჩადენილ ავაზაკობებს ძალიან შეუწუხებია მამამთავრიშვილი: „აგერ ორმოცი წლისა ვსრულდები და ქართლელებისაგან ამისთანა მოვლინება და უბედურებაები არ გამიგონია: არამც თუ სულიერი მამის ხანჯლის წვერით ჩხვლეტა და გაგლეჯა, ქათმის მოპარვაც არ მსმენია. ქართლში ავაზაკობოდნენ მარტო ოსები და ისიც დიდი შიშით და სიფრთხილით, უდაბურ ტყის ვიწრო გზებზედ.

როგორც ჰსჩანს უფ. ზაქარიძის თქმიდგან, მღვდლის გამგლეჯნი ყოფილან წმინდა ქართლელები“. თითქოს გამართლებასაც უძებნის ურიგო საქმის ჩამდენთ: „რათ იკადრეს ამ პატიოსანი მამისშვილებმა ამისთანა შემარცხვენელი საქმე? ვინ და რამ დაგესლა ეს საწყლები? იქნება მათს სიღარიბესა და ერთობ მომეტებულ გაჭირებას უნდა მივაწეროთ?“ თუმცა, ავტორი დირბში, ხაშურსა და გორში არსებულ სიტუაციას ქსნის ხეობის სოფლების ვითარებას ადარებს და აღნიშნავს, სხვადროს ასე გაღატაკებულნი ჩვენი სოფლების მცხოვრებნი არასდროს ყოფილან, მაგრამ ჩვენთან ასეთ შემარცხვენელ საქმეს არავინ იკადრებსო: „პატიოსნებას გეფიცებით, ჩვენი ახლო მეზობელი სოფლები: ალევი, ლომისა, წირქოლი, ყანჩაეთი, ოძისი და ლამის-ყანა არაოდეს არ ყოფილან ასე დავარდნილი და გაღატაკებულნი, როგორც ეხლა; მაგრამ ვინ გაიგონებს იმათგან ამისთანა კაცობრიობის შემარცხვენელ საქმეს, თუმცა კი წმინდა მთიულები და უსწავლელები არიან!“ (მამამთავრიშვილი, 1875: 2-3). წერილის ავტორი გამოსავალს ისევ განათლებაში ხედავს, მაგრამ ვიდრე „ქვეყანა ეღირსება ნამდვილ და ჭეშმარიტ განათლებას“, საჭიროდ მიაჩნია, წმინდა მამებმა თავიანთ სულიერ შვილებს კარგად შთააგონონ ქრისტიანული ცხოვრება, ამასთან, ვისაც ევალებათ, ყურადღება მიაქციონ

ავაზაკთა თარეშს „და თუ ამათ ეს გაუჭირდებათ, იყოლიონ იმისთანა ქვეშევრდომნი, რომელთა საძირკვლად თვისთა სწავლისა და განათლებისა, ჰქონიყოთ ზნეობითი სწავლა და ნამდვილი მიმართულობა ჭეშმარიტებისადმი“ (მამამთავრიშვილი, 1875: 2-3).

1879 წლის 14 სექტემბრის „დროებაში“ საუბარია ქსნის ხეობის ძველ ეკლესია-მონასტრებში არსებულ საგანძურზე, რომელიც უპატრონოდ დარჩენილა და თუ დროზე არ მიექცა ყურადღება, გაქარწყლდება და დაიკარგება („დროება“, №190, 1879: 2). „დროების“ ეს განცხადება უკავშირდება ქსნის ხეობაში „სახარებისა“ და სხვა ძველი წიგნების აღმოჩენის ფაქტს, რომლის შესახებაც, 1883 წლის ჟურნალ „ივერიის“ მაის-ივნისის ნომერში დაიბეჭდა დიმიტრი ბაქრაძის ვრცელი სტატია: „სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხ თავისა ანუ სახარებისა“, რომელიც გახლდათ „კავკასიის არხეოლოგიურ საზოგადოების“ სხდომაზედ მომავალს სეკტემბერში“ წასაკითხი რეფერატი (ბაქრაძე, 1883: 112-125). „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილს „დროების“ 1883 წლის 14 აგვისტოს ნომერში გამოეხმაურა ზაქარია ჭიჭინაძე. როგორც იგი აღნიშნავს, ქსნის სახარება 1879 წელს ახალგორელ მღვდელს მოუპოვებია სხვა რამდენიმე ძველ წიგნთან ერთად და ზაქარიასთვის გადაუცია: „ყველა ეს წიგნი ინახებოდა ჩემთან. ბ. დ. იმ დროს აქ არ იყო და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა. მის ჩამოსვლამდის მე შემხვდა ერთი ყმაწვილი კაცი, რომლის სახელის დასახელების აქ არ გსაჭიროობ; მან მთხოვა, რომ ხსენებული სახარება მისთვის დამეთმო; თუმცა ყველა ეს წიგნები თითქმის ჩემს გამგეობას ქვეშ იყო, მაგრამ მე ვერ გავბედე სრულიად დათმობა და ამიტომ წიგნი გავყავით შუაზე; ნახევარი იმან წაიღო პეტერბურღში, რადგანაც ის იქ სცხოვრობს და ნახევარიც მე დავიტოვე, რომელიც შემდეგ გასინჯულ იქმნა და განხილულ ბ. დ. ბაქრაძისაგან“ (ჭიჭინაძე, 1883: 3-4). დიმიტრის ზაქარიასთვის უთხოვია, წერილით მოეთხოვა პეტერბურგში მცხოვრები ქართველისთვის (რომელსაც არ ასახელებენ), სახარების ნაწილი უკან დაებრუნებინა. ზაქარიას ეს არ გაუკეთებია: „მე ეს ვერ გავბედე, რადგანაც ჩემის ნებით დავუთმე და ვსთხოვე ბაქრაძეს, რომ იმას მიეწერა წერილი ამის შესახებ და არ ვიცი მისწერა, თუ არა“-ო. ავტორის მინიშნებით, „დროებაში“ დაბეჭდილი წერილის მიზანი ყოფილა პეტერბურგში მცხოვრები საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის შესწავლით დაინტერესებული ქართველების სახელის მოფრთხილება. ერთგვარი მკაცრი ტონიც ჩანს ზაქარიას სიტყვებში: „ამიტომ მიმიქცევია ეს წერილი იმისკენ, ვისიც რიგია და მოვალეობა და თვით იმან ახსნას ამ ძვირფასი საგვარტომო წიგნის განახევრების მიზეზი. იმედი მაქვს, რომ „დროებაში“ ადგილს დაუთმობთ და დაბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც ხსენებულმა წიგნმა დიდი ყურადღება მიიპყრო „კავკასიის არხეოლოგიურ“ კრებაზე“ (ჭიჭინაძე, 1883: 3-4). თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ბატონი ზაქარია, თავის დროზე ქსნის ხეობაში აღმოჩენილ უძველეს სახარებას მოფრთხილებოდა. წიგნის შუაზე გაყოფა კი არა, ერთი ფურცლის მოკლებაც კი არ იყო მართებული.

გაზეთი „ივერია“ კი 1886 წელსაც გამოეხმაურა ქსნის ოხთავის უძველეს ვარიანტს: „ჩვენის აზრით, ძალიან ბევრი ისტორიული, ეთნოგრაფიული და პალეგრაფიული მასალა უნდა იყოს ამ მივარდნილს ხეობის გულში. პატივცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ აქ, ქსნის-ხეობაზე იპოვნა შესანიშნავი ვარიანტი სახარებისა, დაწერილი V საუკ(უ)ნეში („ივერია“, №70, 1886: 2-3).

ქსნის ხეობაში რომ მდიდარი იყო ეკლესია-მონასტრებში არსებული საგანძურით, ამის შესახებ გაზეთ „კვალის“ 1895 წლის 15 ოქტომბრის მეთაურ წერილშიც მოგვითხრობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მღვდელი ილარიონ ჯაში: „თუ რამდენათ არის ქსნის ხეობა შესანიშნავი ისტორიულათ, ეს მგონია, თვით ჩვენმა მეისტორიებმაც კარგათ იციან. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ მხარესთვის აქამომდე არავის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება“ - აღნიშნულია წერილის შესავალში, სადაც საუბარია ლარგვისისა და ყანჩავეთის მონასტერში დაცულ ნივთებზე, ასევე ქსნის ერისთავების

მოურავ ფიცხელაურების საოჯახო არქივში არსებულ სიწმინდეებსა და სიგელ-გუჯრებზე (ჯაში, 1895: 1-3). ლარგვისში მდებარე ქსნის ხეობის ერთ-ერთი უძველესი ეკლესია იყო ერთ-ერთი საიმედო სახიზარი სვეტიცხოვლის განძისა. ბუნებრივია, არც სამეფო კარის ყურადღება აკლდა წმინდა თეოდორეს ტაძარს; გამორჩეულად ზრუნავდა მასზე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. ჯერ კიდევ უფლისწულს, 1781 წელს ეკლესიისთვის შეუწირავს მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი და ვერცხლის გარეკანში მოქცეული დაბეჭდილი სახარება.

ლარგვისის მონასტრისადმი სხვა უფლისწულებიც იჩენდნენ რიდსა და პატივისცემას. მაგალითად, 1678-80 წლებში ლევან ბატონიშვილს აბრეშუმის ქამრის ვერცხლის ბალთა შეუწირავს, 1739 წელს ბაქარს - ვერცხლის ყდაში ჩასმული მოსკოვში დაბეჭდილი სახარება.

„ლარგვისის ეკლესია სავსე იყო ძველი რაგინდარით“, - წერს ილარიონ ჯაში, მამის მონათხრობის მიხედვით, რომელიც ლარგვისის სამრევლო ეკლესიის მედავითნე-დიაკვანი ყოფილა. ჯაში ყანჩაეთის კაბენზე და იქ ნანახ სიძველეებზეც მოგვითხრობს: „ათი წლის წინეთ მინახავს ამ მონასტერში ხის კიდობანი, სავსე ძველი წიგნებით, და ქაღალდებით, ოთხი წლის წინათ კი სულ მთლათ ცარიელი ვნახე. ამ კიდობნის ამბავი კარგათ უნდა იცოდეს მღვდელმა ალექსანდრე ტატუნაშვილმა, რომელიც ყანჩევეთიდან არის. რკინის გზის მღვდელს ნიკიფორე მამამთავრიშვილს უთქვამს ჩემთვის, რომ ალ. ტატუნაშვილმა ბევრი ქაღალდები ამოარჩია კიდობნიდანო და ერთი სახარება ტყავზე ნაწერიო, ყანჩავეთის სამრევლო ეკლესიაში მინახავს ორი წიგნი ტყავზე ნაწერი. ერთი მათგანი ნახატებიანი და (მ)შვენიერი რამ არის“ (ჯაში, 1895: 1-3).

იკოთის საგანძურიდან აღსანიშნავია ეპისკოპოს დოსითეოზ ფიცხელაურის დანატოვარი ორი შესანიშნავი ხატი. ერთი დუშეთის ეკლესიისთვის შეუწირავთ, მეორე იკოთის ეკლესიაში ყოფილა დაბრძანებული: „ეს ხატი მთლათ წაჰგავს რაფაელის მადონას და გარშემო ნაწილებია წმიდანებისა, თუ არ ვცდები რიცხვით ოც-და-ოთხი. ამ უკანასკნელ ხატში ქსნის ერისთავს გიორგის, კნეინა ქეთევან ჯამბაკურიან ორბელიანის მამას სამი სოფელი ყმითა და მამულით უძლევია დოსითეოზისთვის და მაინც არ მიუცია“ - გადმოგვცემს ივანე ფიცხელაურის (დოსითეოზი მისი პაპის ძმა იყო) მონათხრობს ჯაში. ყველასათვის დამაფიქრებელი უნდა ყოფილიყო მისი შეგონებაც: „ამისთანა შესანიშნავები სხვა ათასიც რამ არის ჩვენს ქსნის ხეობაზე, მაგრამ ყურის გდება არ უნდა? როდესაც ყველაფერი გამოგვეცლება ხელიდან ვიშ-ვიშს მაშინ მოვყვებით, მაგრამ გვიანღა იქნება. ნუ თუ ამ ნივთთა მისთვის მოატანეს აქამომდე, რომ მეცხრამეტე საუკუნის შვილთ მოუღონ ბოლო?“ (ჯაში, 1895: 1-3).

სოფელ ყანჩავეთს ეძღვნება 1879 წლის 14 სექტემბერს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი კორესპონდენცია - „ქსნის-ხეობიდამ, 11 სექტემბერს“ „მნახველის“ ფსევდონიმით.

ყანჩავეთი (ყანჩაეთი) ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს ხარულის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, ქსნის მარჯვენა შენაკად მდინარე ყანჩაურისხევის ნაპირებზე. ახალგორიდან 6 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე. მიეკუთვნება ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემს (ახლოური, 2025: 326).

„ქსნის ხეობაზედ არის სოფელი, რომელსაც სახელათ ეწოდების ყანჩავეთი, რომელიც გახლავთ თავადი რატიანთი“ - ვკითხულობთ შესავალში.

ყანჩავეთის მფლობელი რატიშვილები ქსნის ერისთავების განაყარი შტო იყო, მომდინარე რატი ქვენიფნეველისაგან. მათი ძირითადი საცხოვრებელი ქსნის ხეობის სოფელი ქსოვრისი გახლდათ, ხოლო საგვარეულო სამკვალე - ჯერ ყანჩაეთის კაბენის მონასტერი, შემდეგ ისტორიული სოფელი თელოვანი (ახლოური, 2021: 21). „მნახველი“ პირველ რიგში კაბენის მონასტერზე ამახვილებს ყურადღებას: „ამ სოფელში გაღმა

ყოფილა ძველთაგანვე მონასტერი კაბენის მღვთის-მშობლისა. ეკკლესია გახლავთ ერთის გუმბეთით: სიგრძე იქნება ოთხი საჟენი და სიგანე ექვსი; სამის სამწირველოთი; შიგ საკურთხევლის მარჯვნივ და მარცხნივ მიდგმულია კელიები (სანაკები) სიგრძით უმეტეს ოთხი არშინისა.

მხატვრობა აღარ ეტყობა, შესანიშნავათ მარტო ნათლის-მცემლის თავი და იროდიადას უჭირამს ქარტა და ზედ წარწერილი, ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ წავიკითხე“ (მნახველი, 1879: 2).

ყანჩაეთის კაბენის მონასტერი საეკლესიო ცენტრი იყო. ვახუშტი წერს: „წირქოლს ზეით, ჩრდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩაეთს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 359). ეკლესიის სამხრეთ ფასადზე ადარნასე მეფის ასულის ლატავრას მოსახსენებელი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტია შემორჩენილი: „ნეტა (რ) ად(არნასეს ასულს) ლატავრ (რს) თო... ეს(წმინდაი ეკლესიაი)...“ წარწერის მიხედვით, ძეგლის აგების თარიღად მიჩნეულია IX საუკუნე. გარშემოსასვლელი X საუკუნისაა, ტაძარი გადაკეთებულია XIII საუკუნეში, ამავე პერიოდისაა ფერწერაც (შიდა ქართლი, 2008: 189-190). კაბენის ღვთისმშობლის ეკლესისიის საფუძვლიან განახლებაზე მოგვითხრობს „ძეგლი ერისთავთა“: „მოშლილიყო დიდი იგი საყდარი იკორთას და კუალად ყანჩაეთის მეორე აღმაშენებელ იქმნეს ტაძარსა დედისა ღუთისასა“. XIV საუკუნის მეორე ნახევარში ტაძარი განუახლებია იოანე ერისთავს. ძეგლის ავტორი სწორედ მას მოიხსენიებს „მეორედ აღმაშენებელს“. მონასტერში არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი და მდიდარი ბიბლიოთეკა ყოფილა, რომელსაც ქმნიდნენ იქ მოღვაწე გამოჩენილი მწიგნობრები. მათ შორის აღსანიშნავია ქართული წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ყანჩაეთის ჯამნგულანი“. აკად. კორნელი კეკელიძის განმარტებით, „გულანი“ კოდექსს ნიშნავს, რომელიც აერთიანებს საღვთისმსახურო წიგნებს, ხოლო შემოკლებული რედაქცია „ჟამნი“ კი მოკლე ისტორიული ცნობების შემცველია. „ჟამნგულანი“ 48 ისტორიული ხასიათის მინაწერს შეიცავს. „იწყება 1444 წლით და მთავრდება 1754 წლით... XVII საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგდროინდელი ამბები თვითმხილველთაგანაა შეტანილი, ადრინდელი კი ალბათ გადაწერილია სხვა ორიგინალიდან“ (ხოცუაშვილი, 2011: 42). „ჟამნგულანი“ 577 ფურცელს აერთიანებს (60 რვაფურცლიანი რვეული და მინიატურები). ხელნაწერის დამკვეთი იყო ევდემონ რატიშვილი, რომელიც მინაწერებში მოიხსენიება ურბნელ და მანგლელ ეპისკოპოსად, ასევე ქართლის მთავარეპისკოპოსად: „ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მთავარეპისკოპოსი, რომლის ბრძანებით აღიწერა ჟამნგულანი ესე, პირველად ვიყავ ურბნელი, მერმე მანგლელი და მერმე მთავარეპისკოპოზი ქართლისა“ (1674 წელი). ევდემონს „ჟამნგულანი“ კაბენის ღვთისმშობლის გეთსამანიის მონასტრისთვის შეუწირავს, შემდგომში იგი დაკარგული უპოვია არაგვის ერისთავს გრიგოლ პაპუაძეს და ისევ ევდემონისათვის გადაუცია, ევდემონმა 1698 წელს ძვირფასი წყარო ხელახლა შესწირა კაბენს, რომელიც თედო ჟორდანიას 1889 წელს მოუნახულებია. იგი წყაროს 1674 წლით ათარიღებს (ჟორდანია, 1897: 381). 1879 წელს „ჟამნგულანი“ ქაშუეთის ეკლესიაში უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს, სადაც მღვდელ მარკოზ ტყემალაძეს დროებით ჩაუტანია. ექვთიმემ იგი 1916 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა (ხოცუაშვილი, 2011: 42).

„დროების“ კორესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს ეკლესიაში მარჯვენა მხარეს არსებულ სამ მღვიმეზე: „ბოლოს არის სამი მღვიმე, ერთი ერთმანეთზედ მობმული რკინის კარებით, თუმცა ეხლა შებმული არა არის და გარე იმ მღვიმეში არის ჩაყუდებული; მღვიმე არის ბნელი და თუ არ წაძვრა დგომით არ შეისვლება, და სანთლით ინახება.

ერთს მღვიმეში ასვენია ბერი, მარჯვენა ხელი ისევ შეუშლელი, თითები ჯვარის სახით გაკეთებული, საბუხრეც ისევ ზედვე აქვს და ყელი მოშორებული, და თავზედ ცოტ-ცოტა თმები. კუნკულიც იქვე თავთან გდია; სტიხარი გულთან ისევ ისე აქვს; საყელო აქეთ

იქით გადაწეული; მუცელი მარცხენა მხარეს ამოგლეჯილი, ნაწლევები შემხმარი და წელქვემოთ ჭილობი აქვს შემოხვეული, გეგონებათ ახალი არისო; ფეხები პატრუქით გაბმული. მეორე მღვიმე არის ძვლებით სამსე. მესამე მღვიმეში არის აქეთ-იქით გათლილი ფიცრები და ზემოდანაც ფიცარია და იქითაც ეტყობა მიცვალებულის მნიშვნელობა, მარტო ძვლები და ასოები ისევ ისე; თავზედ რაღაც დალიანდაგებული აფარია, მწვანე ქობა ეხლაც ეტყობა“ (მნახველი, 1879: 2). „მნახველს“ სოფლის უხუცესებისათვის უკითხავს ამ ბერების შესახებ, მაგრამ მათი ამბის მცოდნე, აღარავინ ყოფილა: „იმ სოფლის მოხუცებულებმა სთქვეს მომსწრენი არავინა ვართო ამ ბერების დახოცვისაო და აღარც არავინ ყოფილაო“. ყანჩავეთის კაბენის სიძველეებზე და იქ ნანახ ჭილოფში შეხვეულ გვამზე ყურადღებას ამახვილებს ისტორიკოსი თედო ჟორდანია 1897 წელს გამოცემულ ქრონიკების მეორე ტომში: „გეთსამანიის ტაძარი არის აწ თითქმის დარღვეული დიდის ხელოვნებით ნაგები კაბენის ეკლესია ქსნის ხეობაში, რატიშვილთა სასაფლაო. გიორგი რატიშვილმა და ადგილობრივმა მღვდლებმა მაჩვენეს ეს ეკვდერი და შიგ შემყვნენ სანთლებით. ერთს სასაფლაოში ესვენა ჭილოფში შეხვეული გვამი: როდესაც ჭილოფი ავხადეთ, აღმოჩნდა, რომ სადაც ჭილოფი ეფარა ის ნაწილები გვამისა სრულიად შეუშლელი იყო, თითქმის ფერიც არ ჰქონდა შეცვლილი ხორცს, ხოლო რომელიც ჭილოფით დაფარებული არ იყო, ის ნაწილები სხეულისა (თავი და ერთი მხარე ხელისა) გახრწნილა, მაგრამ თავის ქალას შესანიშნავი სითეთრე ჰქონდა“ (თ. ჟორდანია, 1997: 171). იქვე ახლოს, კუთხეში დებულა შავ-მაუდ გადაკრული და აბრეშუმის თეთრ სარჩულიანი ბერის ქუდი, რომლის სარჩულზეც „დიდის გულდადებით“ და „საკვირველი ხელოვნებით“ ყოფილა ამოკემსილი სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები, „ფრიად მწვრილად“. თავის დროზე ეკვდერი დაკეტილი ყოფილა, როდესაც პირველად გაუხსნიათ, ჭილოფში გახვეული ბერის გვამი მთლიანად გაუხრწნელი დახვედრიათ. ეკვდარის ახდას დასწრებია გიორგი რატიშვილი, რომლის გადმოცემით, ბერის გულზე დადებული უნახავთ ეტრატის ფურცელი - „შენდობის წიგნი“. წერილი იწყებოდა ფრაზით: „შვილო ბასილ!“, რამაც საშუალებას მოგვცა, შეგვეტყო ბერის სახელი. ეტრატი ხელმოწერილი ყოფილა „წილკნელის იოსების“ მიერ. თ. ჟორდანიას მოსაზრებით მამა ბასილს „შენდობას აძლევდნენ პირველის წილკნელის იოსებ ასურელ მამის სახელით“. მოგვიანებით ეკვდერი ისევ დაუხურავთ, მაგრამ ხალხის ინტერესი ბერის „შეუშლელი გვამის“ მიმართ დიდი ყოფილა, ხშირად მიდიოდნენ თურმე სანახავად და ეკვდერს ღიად ტოვებდნენ, რა მიზეზითაც, გვამის გახრწნილი ნაწილი ტურა-მელათაგან უნდა ყოფილიყო დაზიანებული... რთული აღსაქმელია ეკვდერის ამბის ფინალიც: „მწყემსები თურმე ბურთაობდნენ ზემოხსენებულ ბერულ ქუდით. ესრეთია ჩვენი დრო გონებრივ-ზნეობრივი განადგურებისა, გადაგვარებისა და გაველურებისა“ (თ. ჟორდანია, 1997: 172). ავტორს ყანჩავეთისადმი მიძღვნილ სტატიაში მისი თანამედროვეების ზნეობრივი დაცემის კიდევ ერთი ფაქტი მოჰყავს: „ცხინვალს ახლო მთაში არის ქალების მონასტერი წ(მინდ)ა საბასი, კლდეში გამოკვეთილი; ზემო სართულში გამოკვეთილია პატარა ეკლესია, სადაც დაცულია ყუთში ჩადებული სრულიად შეუშლელი ნაწილი - ფეხი წმინდანისა. მონასტერი და ეკლესია ღიად დაგდებულია, უთვალყუროდ. მე ჩემის თვალით ვნახე 1883 წელს, ზაფხულს, რომ წმინდანის ფეხიდამ დანით ამოუჭრიათ ნაწილები და წაუღიათ, ზოგს-კი ხელით უგლეჯია. ესეც ნიშანი ჩვენის სულიერად გახრწნისა და დაცემისა!“ (თ. ჟორდანია, 1992: 172).

დავუბრუნდეთ ისევ „დროების“ პუბლიკაციას. „მნახველი“ ასევე ყურადღებას ამახვილებს ყანჩავეთის ეკლესიის ხატებზე, მისი ცნობით: „ერთი წმინდის გიორგისა და ერთი მღვთის-მშობლისა, ძვირფასათ შეჭედილი ასვენია ამ სოფლის შტატის ეკკლესიაში“. ეკლესიას ჰქონია თავისი მარანი, სამი „დესიატინა“ ვენახი, რომელსაც მებაღე უვლიდა, შემოსავალს კი სოფელი იყოფდა და ღვინოს დღეობას მიირთმევდნენ.

საინტერესოა სოფლის ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი მითი, რომელიც „დროების“ ავტორს მოხუცებული ქალისაგან მოუსმენია: „ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა მითხრა, რომ ამ მონასტერს ერთი ძვირფასი თვალი აქვსო და იმან უნდა განაახლოს მონასტერიო, და ის თვალი თურმე ორ კაცს აქვს დამალული იმავე ეკკლესიაშიო“ (მნახველი, 1879: 2).

XIX საუკუნის ქართულ პრესაში განსაკუთრებით აქტუალური იყო სკოლების გახსნისა და სწავლა-აღზრდის საკითხები. 1879 წლის 6 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა ახალგორში ადგილობრივი მღვდლის მიერ ფულის შეგროვებისა და სკოლის გახსნის შესახებ: „სოფ. ახალგორიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურ მღვდელს სამასი მანეთი მოუგროვებია შკოლის გასამართავად; ამ ფულით ერთი ძველი სახლი უყიდნია და გადაუკეთებინებია შკოლისათვის. ამ შკოლაში ამ ჟამად 50 ვაჟი სწავლობსო; მოსწავლე ქალები კი ამ პატივცემულ და საქებ მღვდელს თავის ნაქირავებ სადგომში გარდაუყვანია და იქ ასწავლისო“ („დროება“, №184, 1879: 2). თითქმის ერთი წლის შემდგომი კორესპონდენციის მიერ გაზეთი მღვდლის ვინაობასაც გვამცნობს: „ქართლიდამ გვწერენ, რომ სოფ. ახალგორის მღვდელს მ. სამხარაძეს, რომელმანც ამ სოფელში შკოლა გახსნა, ახლა განუზრახავს აქვე ქართულ სავაჭროს გამართვა“ („დროება“, №186, 1880: 2).

მართლაც, რომ საშვილიშვილო საქმე იყო XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ახალგორში პირველი სკოლის გახსნა, ამას დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდებოდა, რაც გაუწევია კიდეც ქსნის ხეობაში მოღვაწე მღვდელს. მამა ნიკოლოზის თხოვნით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ახალგორელებისთვის გადაუცია: 10 ჰიგიენის მიხედვით დამზადებული მაგიდა, 25 ცალი „დედაენა“, 15 ცალი „ბუნების კარი“, 12 ცალი გ. კალანდარაშვილის „სახელმძღვანელო“, 25 ცალი - რ. ერისთავის „იგავ-არაკნი“, 15 ცალი - ჯუღელის „დედანი“, 16 - დაფა, 2 ეგზემპლარი - ნ. ბარათაშვილის ლექსები, 2 - მოთხრობა „ბანჯგვლიანი ფუთკარი“, 2 - როსტომაშვილის „არითმეტიკა“, თითო ცალი - „ვეფხვის-ტყაოსანი“, „სახარება“, „დავითნი“ და „სხვა თითო-ოროლა სასწავლო ნივთები“, რითაც ახალგორში ყოფნისას სამხარაძე სარგებლობდა. ნიკოლოზის ახალგორიდან სხვა სამრევლოში გადაყვანის შემდეგ ჩამოთვლილი ნივთები სიით გადაეცა ახალ მასწავლებელს მღვდელ ალექსანდრე ზედგენიძეს. ახალგორიდან წასვლის შემდეგ ზედგენიძეს სკოლის კუთვნილი ნივთები თან წაუღია. აღნიშნულ ფაქტს 1885 წლის 15 თებერვლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ღია წერილით ეხმიანება სპირიდონ გაბელაშვილი, რომლითაც იგი ახალგორის სკოლის ყოფილ მასწავლებელს თხოვდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემოწირული ნივთები (მაგიდის გარდა, რომელიც ახალგორში დარჩა) უკან დაებრუნებინა: „ეხლა ვსთხოვთ მღ. ზედგინიძეს დაგვიბრუნოს ჩამოთვლილი წიგნები, ნუ დაგვიკარგავს, ნუ მიითვისებს ქველ-მოქმედი საზოგადოების შემოწირულ ნივთებს. სკოლას ამით დიდი დაბრკოლება ეძლევა და არც საზოგადოებას დაურჩება სასიამოვნოდ მათი დაკარგვა. სრული იმედი გვაქვს მღ. ზედგინიძე ღირსეულად მოიქცევა და ამ თხოვნაზე პასუხს მოგვცემს. ახალ-გორის სკოლის მასწავლებელი ს. გ. თებერვლის 10-ს. 1885 წელსა. ს. ახალ-გორი“ (გაბელაშვილი, 1885: 3).

ახალგორის სკოლას სხვა შემომწირველებიც ჰყოლია. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ „ივერიის“ 1888 წლის 18 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი მცირე მოცულობის სამადლობელი ბარათი, რომლის ავტორიც სკოლის მასწავლებელი სპირიდონ გაბელაშვილი გახლდათ, იგი გაზეთის მეშვეობით მადლიერებას გამოხატავს მამა რაჟდენ გიგაუროვის (გიგაური) მიმართ სკოლისთვის შეწირული ასი ცალი საკუთარი თხზულების გამო (გაბელაშვილი, 1888: 2).

ზოგადად, სპირიდონ გაბელაშვილმა დიდი ამაგი დასდო ახალგორის სკოლას. 1893 წლის სექტემბერში, როდესაც იგი სამასწავლებლო მთავრობის განკარგულებით

საგარეჯოში გადაიყვანეს, ახალგორელებმა, მადლიერების ნიშნად, გამოსამშვიდებელი საღამო მოუწყვეს: „19 ენკენისთვეს ამ 1893 წ. ადგილობრივმა ბოქაულმა თავ. კ.რ. შალიკაშვილმა, თ. გ. დ. ერისთავმა, ადგილობრივმა მღვდელმა მამა პან(ტ)ელეიმონ გედევანიშვილმა და სხვებმა გაუმართეს ბ-ნ გაბელაშვილს გამოსამშვიდობებელი ვახშამი. ვახშამზედ ბევრი სიტყვა ითქვა ბ-ნ გაბელაშვილის ენერგიულ შრომასა და მეცადინეობაზედ სკოლისთვის და იმის ყველასთან ძმურ-მეგობრულ უწყინარ ცხოვრებაზედ“. წერილში სკოლის პრობლემებზეც იყო ყურადღება გამახვილებული, სანამ ნაქირავებ ბინაში გადავიდოდა, სკოლას რიგიანი შენობა არ ჰქონდა, წვიმის დროს მასწავლებელს ქოლგა ეჭირა ხელში და ისე ასწავლიდაო (გიორგაძე, 1893: 2).

ახალგორის სკოლა რამდენიმე საზოგადოებას უნდა მომსახურებოდა. მის შენახვაზეც ამ საზოგადოებებს უნდა ეზრუნათ. ანასტასია ერისთავის დაანგარიშებით, სკოლის „შესანახად“ ახალგორის საზოგადოება (მცხოვრები 122 კომლი) 122 მანეთს იხდიდა, ძეგლევის საზოგადოება (108 კომლი) - 64 მანეთსა და 80 კაპიკს; ქვემო ბოლის საზოგადოება (162 კომლი) - 97 მანეთსა და 20 კაპიკს; იკოთის საზოგადოება (106 კომლი) - 106 მანეთს; წირქვალის (წირქოლი) საზოგადოება (162 კომლი) - 97 მანეთსა და 20 კაპიკს; ზემო ალევის საზოგადოება (236 კომლი) - 141 მანეთსა და 60 კაპიკს; ოძისის საზოგადოება (80 კომლი) - 160 მანეთს. ყოველწლიური შემოსავლის ჯამი 788 მანეთსა და 80 კაპიკს შეადგენდა. რაც შეეხება წლიურ გასავალს: შენობის ქირა - 150 მანეთი, მასწავლებელი - 300, საღმრთო სჯულის მასწავლებელი - 100 მანეთი, სკოლის მოსამსახურე - 30 მანეთი, სასწავლო ნივთები - 100 მანეთი. მთლიანად გასავლის ჯამი 660 მანეთს შეადგენდა. სკოლის სახელობაზე რჩებოდა და ხაზინაში ინახებოდა 128 მანეთი და 80 კაპიკი.

წერილის ავტორი ახალგორის სკოლის მასწავლებლისადმი საყვედურის გამოთქმასაც არ ერიდება: „საყვედურის ღირსია ახალგორის სკოლის მასწავლებელი, რომელიც სრულიად არა ზრუნავს, - სკოლას საკუთარი შენობა აეგოს, და 150 მანეთი შენობის დაქირავებაზედ უსაფუძლოდ არა ჰქრებოდეს ყოველ წლივ, მაშინ როდესაც შენობის სამყოფი ფული მიწაში დაფლულ ქანქარივით უსარგებლოთ ყრია ხაზინაში“ (ერისთავი, 1895: 2).

ახალგორის სკოლა, რომ სხვა სოფლების მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, ამის შესახებ „ივერიის“ 1898 წლის 10 თებერვლის ნომერში ძმუისელის ფსევდიმონით გამოქვეყნებულ კორესპონდენციაშიც იყო აღნიშნული, მისი ინფორმაციით, სკოლით მხოლოდ ადგილობრივი მდიდარი ვაჭრები სარგებლობდნენ. თხუთმეტი წლის მანძილზე, რაც ახალგორის სკოლა იყო დაარსებული, დანარჩენი ექვსი საზოგადოებიდან მხოლოდ ოთხ მოსწავლეს მიუღია ცოდნა (ძმუისელი, 1898 წელი. გვ. 2-3).

წერილში, რომელიც 1900 წლის 15 ივნისს გამოქვეყნდა რუბრიკით „მოწერილი ამბები“ ავტორი (ახალგორელის ფსევდონიმით), სურვილს გამოთქვამდა სკოლასთან არსებულიყო თავშესაფარი, სადაც სხვა სოფლებიდან ჩამოსული მოსწავლეები დაბინავდებოდნენ. თუმცა ესეც მიუწვდომელ ოცნებად მიაჩნდა, რადგან თვითონ ახალგორის სკოლა სავალალო მდგომარეობაში იყო: „ჯერ როცა სკოლასაც არა აქვს საკუთარი შენობა, ბავშვებისათვის საცხოვრებელ ბინაზედ როგორ ვილაპარაკოთ! ახალ-გორში, ამ ქსნის ხეობის შუა-გულში, მოწაფეთა მაგიდებს ურიის ბოხჩასავით დაათრევენ ერთი შენობიდგან მეორეში, რომელთაგანაც, სამწუხაროდ, ვერცერთი ვერ აკმაყოფილებს სკოლის უბრალო მოთხოვნილებას. გარდა ამისა, რომ ვაი-ვაგლახით 40 მოსწავლეს ძლივს იტევს, და მარტო ახალგორიდგან კი ყოველ წლივ სამოცამდე მთხოვნელია“ (ახალგორელი, 1900: 3). ავტორს სასიკეთო საქმისთვის ქსნის ერისთავების, საერო სკოლების ინსპექციის, სოფლის საზოგადოებების და ადგილობრივი ინტელიგენციის გაერთიანების იმედი ჰქონდა, რითაც დაიძლეოდა წინააღმდეგობები და ახალგორიდან

დაშორებულ სოფლის ბავშვებსაც მიცემოდათ მშობლიური ენის ანბანზე „ქვეყნიერობის“ გაცნობის საშუალება.

ქსნის ხეობელი გლეხკაცის შეჭირვების უმთავრეს მიზეზად წერა-კითხვის არცოდნა მიაჩნდა 1902 წლის 9 ნოემბრის „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორსაც (ფსევდონიმით „ქსნელი“). ორი ათასამდე გლეხ ქართველში ათს ვერ იპოვით თავისუფალს, ყველას ქედი აქვს მოდრეკილი მებატონის წინაშეო. საუკეთესო ღირსების ყოფილა ქსნის ხეობის მატყლი, მაგრამ დიდ გასაჭირში იმყოფებოდნენ მწყემსები საბალახოს უზომო ხარჯის გამო. ეს წერილიც ეპოქის მთავარი სატკივარით მთავრდება: „სოფლის ნაღვაწ-ნაშრომი იკრიბება სოფ. ახალგორში, ამ ერთად ერთს ქსნის ხეობის სავაჭრო ალაგას, რომელიც დასახლებულია მთლად ვაჭარ სომხობით და ხეობას, როგორც უნდათ ისე სცქვლეფავენ. ერთ მხარეს უენო გლეხი, მეორე მხარეს ვაჭარი, მყვლეფავი, მძარცვავი, ყველა გლეხს ებღაუჭება, ყველა ამას მისევია და სწუწნის, ვიდრე საწუწნია.

მთელს ქსნის ხეობაში მხოლოდ ერთი სამინისტრო სკოლაა ახალ გორში, რომელიც, თავის სივიწროვით თვით ახალ-გორელების მესამედს სურვილსაც ვერ აკმაყოფილებს. სკოლა-კი დაარსებულია საზოგადო ხარჯით მთელის ხეობისათვის“ (ქსნელი, 1902: 3).

მიუხედავად, ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა, ახალგორის სკოლის არსებობა ბნელში ანთებული სანთლის როლს ასრულებდა, რომელიც სანიმუშოდ უნდა ქცეულიყო მთელი ქსნის ხეობისთვის.

ერთი მტკივნეული საკითხთაგანი, რაც ქსნის ხეობის ყოველდღიური ყოფიერების თანხმლები გახლდათ, უგზოობა იყო. ამაზე თითქმის ყველა გაზეთი ამახვილებდა ყურადღებას, მათ შორის „დროება“: „ს. ახალგორიდამა გვწერენ: თუმცა ჩვენს სოფელში 140 კომლამდე მკვიდრი მცხოვრებია და თითქმის ყველას ქვიტკირის შენობა უდგას, ასე რომ პირველის შეხედვით ქალაქი გეგონებათო, მაინც თითქმის მთელი ქვეყნიდამ მოწყვეტილები ვართ, რადგან ჩვენში სახელმწიფო გზა არასაიდან არ შემოდისო. მართალია, ინჟინერებისაგან დაპლანულიც არის ამისთანა გზა, მაგრამ დიდი-ხანია დავიწყებას არის მიცემულიო. რა იქნებოდა, რომ კასპის ან ქსანის სტანციამდე, რომელნიც სულ 24-26 ვერსზე არიან ჩვენგან, გზა გაეყვანათ და ღონის-ძიება მოეცათ, ჩვენც ქვეყნისა შეეგვეტყო რამე, ან ჩვენი ამბავი ქვეყნისათვის შეგვეტყობინებინაო“ („დროება“, №146, 1883: 2). ეს პრობლემა რომ თითქმის ოთხი ათეული წლის მერეც იდგა ქსნის ხეობის განსაკუთრებით მთიან ნაწილში, ამას „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებული ერთი პუბლიკაციაც მოწმობს: „ამ ბუნების მდიდარს და მრავალ სოფლებით შემოჭედილ ხეობას გზები ყველგან პირველ-ყოფილ მდგომარეობაში აქვს, რაც, ცხადია, მეტად აფერხებს წესიერ მოძრაობას“ („სახალხო საქმე“, №641, 1920: 4). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლშევიკები, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ხალხის გულის მოსაგებად, პირველ რიგში გზების მოწესრიგებაზე იწყებენ ზრუნვას. ისინი 1921 წლის მაისის ბოლოდანვე შესდგომიან ახალგორის მხარის მთიან რეგიონებში გზებზე მუშაობს: „1921 წ. მაისის უკანასკნელი რიცხვებიდან დაიწყო მუშაობა ახალგორის რაიონის მონასტრის გზაზე ტეხნიკი ამხ. ქსოვრელის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით. მუშაობა მიმდინარეობს დიდის ტემპით. ყოველ დღე მუშაობს 200-400 კაცამდე. დღემდე ცალფეხი ბილიკი გაჰყავთ ოთხ არშინიან სიგანით გზათ, რომელიც აძლევს საშუალებას დღემდე მომწყვდეულ ხეობაში მთის მცხოვრებლებს თავისუფლათ ურმის გზით მიმოსვლისას; ეს კი დიდათ უადვილებს ცხოვრებას გაჭირვებულ მთის მცხოვრებლებს, რომლებიც შესდგებიან არა ნაკლებ 1000 კომლიდან“ (მორბედაძე, 1921: 4). წერილში ნახსენები სოფელი მონასტერი (დღევანდელი ლარგვისი) გახლდათ ქარჩოხ-ჟამურის, ჭურთისა და ცხრაზმის ხეობებიდან მომავალი გზების დამაკავშირებელი ცენტრი.

1884 წლის 1 მარტის „დროებაში“ დაიბეჭდა ანონიმი ავტორის „წერილი ქსნის ხეობიდამ“. კორესპონდენციის დასაწყისიდანვე ჩანს გულისტკივილი, რომ გაზეთში, სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, არ იბეჭდება ცნობები ქსნის ხეობიდან, „ისეა ეს მხარე

მიგდებული და მივიწყებული, თითქო ის ჩვენი ქვეყნის ნაწილი არ იყოსო“. ავტორი როგორც რედაქციისგან, ისე ქართული მწერლობისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან მეტი ყურადღების გამოჩენას ითხოვს. სხვათა შორის, ქსნის ხეობისადმი ყურადღების მიქცევას ითხოვდნენ გაზეთ „ივერიისგანაც.“ 1886 წლის 29 მარტის ნომერში გამოქვეყნებული წერილის ანონიმი ავტორი არ ერიდება ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ მიმართ შენიშვნას - გაზეთს საქართველოს ყველა კუთხეში ჰყავს მოამბენი, ქსნის ხეობის გარდაო („ივერია“, №70, 1886: 2-3).

თუმცა უფრო მკაცრია „დროების“ კორესპონდენტი: „საკვირველი ის არის, რომ - ნუთუ ამ კუთხეში ხალხი არა სცხოვრობს, ნუთუ ამ მხარის ხალხს არა აქვს მოთხოვნილებანი გონებითნი და ზნეობრივნი, რომ კრინტიც არ იძვრის ამ ხალხის ცხოვრებაზე! ეს სამწუხარო მოვლენა იმით აიხსნება, რომ ეს ხეობა ერთობ შორს არის ჩვენის ქვეყნის განათლების ცენტრებიდგან, და ამ ხეობაში საშინელი განუვითარებელი ის წოდებაა, რომელიც უნდა მწყემსავდეს და ხელმძღვანელობდეს ხალხსა“ („დროება“, №47, 1884: 1-2). ავტორის მინიშნებით: „სტუმრის მოყვარეობა, დარბაისლობა და სხვა ჩვენი პატრიარქალური სათნოებანი ამ ხეობაში დღემდის უხრწნელად დაცულნი არიან. ბევრს, ძალიან ბევრს ეტნოგრაფიის მასალას შეჰკრებს ამ მხარეში დამკვირვებელი, თუ რამდენსამე ხანს იცხოვრებს აქა“, თუმცა სწუხს სოფელ ოძისიდან ჩრდილოეთით უყურადღებოდ დარჩენილ ხეობებზე: ალევზე, ცხავატზე, დაბაკნეთზე ანუ ცხრაზმაზე, ჭურთაზე, ქარჩოხზე ანუ ახალდაბაზე, რომელთა „ბუნებითი შვილები“ გამოირჩევიან ნიჭიერებით, სიმხნევით, ვაჟკაცობით, მაგრამ ჩამორჩენილები არიან ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას. რითაც სარგებლობენ ახალგორში თავმოყრილი ვაჭრები: „ამ მხრის ნაწარმოებნი - ყველი, მატყლი, ერბო, ქერი ახალგორს იქით არ მიდის. ახალგორი სავსეა „წურბელა ვაჭრებით“, რომელნიც ქსნის ხალხს თვალებს უბამენ და ისე მდიდრდებიან, ძნელად იპოვის კაცი ახალგორელს ვაჭარს, რომელიც კაი შემძლებელი ოჯახის-შვილი არ იყოს: ისე აქვთ სხვადასხვა სოფლებში გაბმული მახეები, რომ იშვიათი იქნება ქსნელი კაცი, რომელსაც ახალგორელის „ნისიები“ არ ემართოს!“ („დროება“, №47, 1884: 1-2). წერილის ბოლოს ხალხის გაღვიძების მთავარ ფაქტორად სკოლების გახსნაა მიჩნეული, რომელზეც თანაბრად უნდა ეზრუნა, როგორც ქვეყნის ინტელიგენციას, ისე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში ვხვდებით პუბლიკაციებს „გლეხი ვანოს“ ფსევდონიმით. იგი, ძირითადად, „ისართან“ თანამშრომლობდა. 1909 წლის ორ ივნისს „ისარის“ კორესპონდენტი აგლაძის „დროებაში“ აქვეყნებს წერილს ქსნის ხეობის შესახებ. ავტორი გულდაწყვეტილია ხეობაში არსებული მძიმე სოციალური ფონისა და ხალხის გაცრუებული იმედებს გამო: „დღემდის ცოტათი მაინც უღვიოდათ გულში იმედი და რაღაცას ელოდნენ, მაგრამ დღეს ეს იმედიც გაჰქრა, რადგან ის მოწინავე პირნი, რომელნიც იმედს აძლევდნენ ხალხს, რეაქციას სათავეში ჩაუდგნენ და იწყეს თარეშობა ისედაც გაყვლეფილ გლეხობაზეო“.

წერილი ქსნის ხეობელთა ეთნოგრაფიული ყოფის წარმოჩენითაც იქცევს ჩვენს ყურადღებას. საუბარია მცხოვრებთა საცხოვრებელ სახლებზე, ჩაცმულობასა და საკვებზე: „ბუნებამაც უღალატა გლეხს და ლამის ისე დაიღუპოს, რომ ლუკმა პურიც-კი გაუწყდეს. ადამიანი გულქვა უნდა იყოს, რომ გულ გრილად უცქიროს გლეხთა აუტანელ მდგომარეობას. ვისაც კი თვალით უნახავს მათი ცხოვრება, დამემოწმება, რომ აუტანელი რამეა აქაური ყოფა. ერთი პატარა მიწური ანუ მშრალ ქვით აშენებული სახლი მაღლა მთის წვერზე. შიგ სცხოვრობს 20-25 სული. ამათ მამულს შეადგენს აქა-იქ თითო საჟენი მოფხოჭნილი მიწა. ყველანი ტიტველნი არიან. ქალები სირცხვილით იმალებიან, როდესაც მიხვალთ, რადგან ტიტველნი არიან. ბავშვები ხომ ნუღა იტყვით. ღამე წვანან კერასთან, (შუა ცეცხლი იციან). კონკებში სჭამენ პურს ცხელი ნაცარში გამომცხვარს. ისე სოფელში ვერ შეხვალთ, რომ ორი კომლი მაინც ნახოთ ჯან-საღი. ყველას ფილტვები

დასუსტებული აქვს და უდროვოდ ესალმება წუთისოფელს“ (გლეხი ვანო, 1909: 3). „დროების“ კორესპონდენცია გვახსენებს კიდევ უფრო მძიმე სურათს ჟურნალ „მოგზაურის“ 1905 წლის პუბლიკაციაში აღწერილი ქართლელი გლეხის საცხოვრისისა: „ქართლელ გლეხის ოჯახს შეადგენს ნახევრათ მიწაში ჩადგმული მინგრეულ-მონგრეული ულამაზოთ და უსუფთაოთ აგებული ბოსელი. როდესაც მასპინძელს მიყევხართ სახლში, გეგონებათ, პირუტყვების დასაბამ საბძელში მივყევარო. მართლაც ამ ღარიბ საბძელში თუ ბოსელში ოჯახის წევრები და საქონელი ერთათ ცხოვრობენ, ერთათ ძინავთ, ერთათ მუშაობენ მინდორ-ველშიაც. ლოგინი საერთო, ქვეშაგები უმეტესათ ჭილოფის ლეიბისაგან, საბანი ზოგს აქვს, ზოგს სალდათის შინელი ხურავს, რომელსაც დღისით ტანისამოსათ ხმარობს. ტანისამოსი დაგლეჯილი... ცხოვრობენ თითო ოჯახი ერთმანეთთან ძალიან ახლო, ისე, რომ გასავალი არა აქვთ. უზომო სიღარიბეს, საცხოვრებელ ბინის სივიწროეს, შეხუთულ ცხოვრებას, რასაკვირველია გლეხისთვის შესაფერისი ელფერი გადაუკრავს პირისახეზე“ (დასავლეთელი, 1905: 174-175). პუბლიკაციებში ასევე საუბარია იმ გადასახადებზე, რომელიც ასეთ მძიმე ყოფაში ჩავარდნილ გლეხებს მებატონეთა სასარგებლოდ ჰქონდათ დაკისრებული: „ქართლში ცხოვრობენ დროებით ვალდებულნი, ხიზნები, სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო და საუფლისწულო გლეხები, ესენი მუშაობენ სხვების მიწაზე და აძლევენ გადასახადს ჭირნახულით და ფულით“ - წერდა „მოგზაური“ (დასავლეთელი, 1905: 174-175). „დროების“ ინფორმაციით კი ქსნის ხეობის მოსახლეობას მძიმე დაღად აჩნდა ზაფხულის მოსვლისთანავე გაჩენილი „ტიფი“ (ინფექციური გადამდები დაავადება, რომელიც იწვევს ძლიერ ცხელებასა და ცნობიერების მოშლას), რომლის გამოც ყველა ოჯახში იყო 2-3 ავადმყოფი. გლეხების გაჭირვებას არავინ აქცევდა ყურადღებას, მათი კარის წინ ყოველდღე მდგარი ჩაფრები „თავისას“ ითხოვდნენ, მათ ემატებოდათ მემამულე და მღვდელი. სამი მთავრობის მამასახლისი ყოფილა ქსნის ხეობის ტერიტორიაზე - ახალგორში, მონასტერში და ზახორში. თითეულ მათგანს ექვსი ჩაფარი ჰყოლია. მამასახლისისთვის ყოველთვიური გადასახადი თვეში 45 მანეთი იყო, ჩაფარისთვის - 25 მანეთი, მწერლისთვის - 30 მანეთი. კანცელარიის ქირა - 8 მანეთს შეადგენდა, მოსამსახურის - 7 მანეთს. მთავრობის მამასახლისს (თავის ჩაფრებით, მწერალით და მოსამსახურით) 720 მანეთი მიჰქონდა, წელიწადში სულ 8640 მანეთი. „ეს ფული გაჭირვებულ ხალხისთვის დიდი შემწეობა იქნებოდაო“ - მართებულად შენიშნავდა ავტორი, რომელსაც ხალხის უმწეობასთან ერთად, არანაკლებ აფიქრებდა სკოლების არ ქონა.

დასკვნა. შეიძლება ითქვას, რომ „დროებამ“ იმ დროის ქართულ პერიოდიკასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებისაგან მივიწყებული დიდი ისტორიის მქონე ხეობის წარმოსაჩენად.

„დროებაში“ დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც XIX- XX საუკუნეების ქსნის ხეობის მცხოვრებთა წინაშე იდგა. „დროების“ კორესპონდენციები მის თანამედროვე ქართველებს შეახსენებდნენ ქსნის ხეობის მდიდარ წარსულს, ეკლესია-მონასტრების სავალალო მდგომარეობასა და იქ დაცულ ეროვნულ საგანძურს, რომელიც უპატრონოდ იყო მიტოვებული და მათზე ზრუნვა პირველი რიგის ამოცანად უნდა ქცეულიყო.

გაზეთში საყურადღებო ცნობები მოგვეპოვება XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ახალგორში გახსნილი პირველი სკოლის შესახებ, ვეცნობით ინფორმაციას მასწავლებლების მოღვაწეობაზე, ქველმოქმედთა შემოწირულობებზე. გამოკვეთილია ამ სკოლის როლი რეგიონის ცხოვრებაში და არაერთხელაა დასმული საკითხი სხვა სკოლების გახსნის აუცილებლობაზე.

„დროების“ მეშვეობით ვეცნობით თუ რა სავალალო მდგომარეობაში იყო ქსნის ხეობაში, განსაკუთრებით კი მის მთიან რეგიონში არსებული გზები და რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათ მოწესრიგებაზე ზრუნვა..

პუბლიკაციებიდან ასევე ნათლად ჩანს ქსნის ხეობაშის მცხოვრები გლეხების მძიმე სოციალური და ეკომომიკური მდგომარეობა, რთული საცხოვრებელი პირობები და მეზატონეებთან ურთიერთობა, იმ დროს არსებული საგადასახადო სისტემის სიმძიმე და პროტესტის მუდმივი განცდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ახალგორელი. (1900). ახალ-გორი (დუშეთის მაზრა). ივერია. №127, 15 ივნისი.

ახლოური, დ. (2021). *ქსნის ხეობის ისტორია.* ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დ. (2025). *ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობების მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში.* თბილისი: გამომცემლობა „საარი“.

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება.* ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ბაქრაძე, დ. (1883). სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხ თავისა ანუ სახარებისა. *ივერია.* № V-VI, მაისი-ივნისი.

გაბელაშვილი, ს. (1888). ახალი ამბავი. *ივერია.* №243, 18 ნოემბერი.

გაბელაშვილი, ს. (1885). ბატონო რედაქტორო! *დროება.* №35, 15 თებერვალი.

გიორგაძე, მ. (1893). ს. ახალგორი (დუშეთის მაზრა). *ივერია.* №228, 24 ოქტომბერი.

გლეხი, ვანო. (1909). ქსნის ხეობა. *დროება.* №119, 2 ივნისი.

დასავლეთელი. (1905). ქართლელ გლეხების გაჭირვებული მდგომარეობა. *მოგზაური.* №11, 27 მარტი.

დროება. (1879). დღიური. №190, 14 ენკენისთვე.

დროება. (1879). ქსნის ხეობა. №184, 6 სექტემბერი.

დროება. (1880). ქსნის ხეობა. №186, 4 სექტემბერი.

დროება. (1883). ქსნის ხეობა. №146, 26 ივლისი.

დროება. (1884). ქსნის ხეობა. №47, 1 მარტი.

ერისთავი, ა. (1895). ქსნის ხეობა. *ივერია.* №175, 17 აგვისტო.

ზაქარიძე, ს. (1875). ქ. გორი, 8 თებერვალს. *დროება.* №20, 14 თებერვალი.

ივერია. (1886). ქსნის ხეობა. №70, 29 მარტი.

კანდელაკი, თ. (1875). გორი, 12 თეფერვალი. *დროება.* №21, 16 თებერვალი.

მამამთავრიშვილი, რ. (1875). იკოთი, 23 თებერვალს. *დროება.* №31, 14 მარტი.

მნახველი. (1879). ქსნის-ხეობიდამ. *დროება.* №190, 14 სექტემბერი.

მორბედაძე, ა. (1921). ს. მონასტრიდან. *კომუნისტი.* №96, 30 ივნისი.

სახალხო საქმე. (1920). ქსნის ხეობა. №641.

ქსნელი. (1902). ქსნის-ხეობა (დუშეთის მაზრა). *ივერია.* №240, 9 ნოემბერი.

ჟორდანია, თ. (1897). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი II.

შიდა ქართლი. (2008). ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა. ტ. IV. თბილისი.

ძმუისელი. (1898). *წერილი ქსნის ხეობიდგან. ივერია.* №30, 10 თებერვალი.

ჭიჭინაძე, ზ. (1883). წერილი რედაქტორთან. *დროება.* №160, 14 აგვისტო.

ხოცუაშვილი, ვ. (2011). ყანჩაეთის „ჟამნგულანი“. *ჩვენი უნივერსიტეტი.* №6, ივნისი.

ჯაში, ი. (1995). ჩვენ ისტორიკოს-მეცნიერთა საყურადღებოთ. *კვალი.* №44, 15 ოქტომბერი.

REFERENCES

akhalgoreli. (1900). akhal-gori (dushetis mazra) [Akhal-gori, Dusheti region]. *iveria [Iveria]*. №127, 15 ivnisi.

akhlouri, d. (2021). *ksnis kheobis ist'oria [History of the Ksani valley]*. Vol. II. Tbilisi: Publishing House „Saari".

akhlouri, d. (2025). *ksnis, lekhurisa da mejudis kheobebis mosakhleoba XIX sauk'unis 60-ian ts'lebshi [The population oh the ksani, lekhuri and mejudiin the middle oh XIX the century in the 60 s]*. Tbilisi: Publishing House „Saari".

bat'onishvili, vakhusht'i. (1973). aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. *kartlis tskhovreba [Georgian chronicles]*. Vol. IV. The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi.

bakradze, d. (1883). sami dzveli variant'i kartulis otkh tavisa anu sakharebisa [Three ancient versions oh the georgian hourhold gospels]. *iveria [Iveria]*. № V-VI, maisi-ivnisi.

gabelashvili, s. (1888). akhali ambavi [News]. *iveria [Iveria]*. №243, 18 noemberi.

gabelashvili, s. (1885). bat'ono redakt'oro! [Mr. Editor]. *droeba [Droeba]*. №35, 15 tebervali.

giorgadze, m. (1893). s. akhalgori (dushetis mazra) [Village Akhalgori (Dusheti region)]. *iveria [Iveria]*. №228, 24 okt'omberi.

glekhi, vano. (1909). ksnis kheoba [Ksani valley]. *droeba [Droeba]*. №119, 2 ivnisi.

dasavleteli. (1905). kartlel glekhebis gach'irvebuli mdgomareoba [The poor condition oh Kartli pesants]. *mogzauri [Mogzauri]*. №11, 27 mart'i.

droeba [Droeba]. (1879). dghiuri [Diary]. №190, 14 enk'enistve.

droeba [Droeba]. (1879). ksnis kheoba [Ksani valley]. №184, 6 sekt'emberi.

droeba [Droeba]. (1880). ksnis kheoba [Ksani valley]. №186, 4 sekt'emberi.

droeba [Droeba]. (1883). ksnis kheoba [Ksani valley]. №146, 26 ivlisi.

droeba [Droeba]. (1884). ksnis kheoba [Ksani valley]. №47, 1 mart'i.

eristavi, a. (1895). ksnis kheoba [Ksani valley]. *iveria [Iveria]*. №175, 17 agvist'o.

zakaridze, s. (1875). k. gori, 8 tebervals [City of Gori on February 8]. *droeba [Droeba]*. №20, 14 tebervali.

iveria [Iveria]. (1886). ksnis kheoba [Ksani valley]. №70, 29 mart'i.

k'andelak'i, t. (1875). gori, 12 tepervali [Gori, 8 February]. *droeba [Droeba]*. №21, 16 tebervali.

mamamtavrishvili, r. (1875). ik'oti, 23 tebervals [Ikoti on February 23]. *droeba [Droeba]*. №31, 14 mart'i.

mnakhveli. (1879). ksnis-kheobidam [From the Ksani valley]. *droeba [Droeba]*. №190, 14 sekt'emberi.

morbedadze, a. (1921). s. monast'ridan [From the village of Monastery]. *k'omunist'i [Komunisti]*. №96, 30 ivnisi.

sakhalkho sakme [Sakhalkho sakme]. (1920). ksnis kheoba [Ksani valley]. №641.

ksneli. (1902). ksnis-kheoba (dushetis mazra) [Ksani valley (Dusheti region)]. *iveria [Iveria]*. №240, 9 noemberi.

zhordania, t. (1897). *kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa [Chronicles and other materialson georgian history and writing]*. Collected chronologically arranged and explained by T. Zhordania. II.

shida kartli [Shida Kartli]. (2008). akhalgoris munitsip'alit'et'is arkit'ekt'uruli memk'vidreoba [Architectural heritage of Akhalgori municipality]. Vol. IV. Tbilisi.

dzmuiseli. (1898). ts'erili ksnis kheobidgan [Letter from the Ksani valley]. *iveria [Iveria]*. №30, 10 tebervali.

ch'ich'inadze, z. (1883). ts'erili redakt'ortan [Letter to the editor]. *droeba [Droeba]*. №160, 14 agvist'o.

khotsuashvili, v. (2011). qanchaetis „zhamngulani“ [Kanchaeti „Zhamngulan]. *chveni universit'et'i [Chveni universiteti]*. №6, ivnisi.

jashi, i. (1995). chven ist'orik'os-metsnierta saquradghebot [For the attention of our historical scholars]. *k'vali [Kvali]*. №44, 15 okt'omberi.